ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 29 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და სდომაზე დამსწრე საზოგადოებასთან ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინის თავისუფლებისთვის უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში დაღუპულ გმირებს.

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის გაცნობა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ც. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, ზ. შამათავა, ა. ხურცილავა)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის გაცნობა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის წევრი)

მოისმინეს: ქ. ქაჯაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" გადაწყვეტილებით საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბადრი რიჟამაძე, რის საფუძველზეც კომისიის მიერ მომზადა განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N27 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს. წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 1786.6 ათასი ლარით და განისაზღვრა - 18405,5 ათასი ლარით, რომელიც გადანაწილდა: 1344,2 ათასი) ლარი (გრანტი, განახლებული რეგიონები); 46081 ლარი (საჯარო სკოლების დაფინანსება); 396296 ლარი (საჯარო სკოლების დაფინანსება). გადასახდელები გაიზარდა 1829,3 ათასი ლარით და განისაზღვრა 19204,2 ათასი ლარის ოდენობით. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 10002,7 ათასი ლარის და საგასავლო ნაწილში 10002,7 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 18403,6 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 21497.5 ათასი ლარი, აქედან 8161.2 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. 2021 წლის იანვარ-დეკემბრის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,1 %-ით (წლური გეგმა 18403,6 ათასი ლარი - წლიური შესრულება 19336,8 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 9518,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 9156,2 ათასი ლარი - 361,8 ათასი ლარით ნაკლები. სხვა შემოსავლები 2021 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში, წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 694,4 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოსულია 1276,9 ათასი ლარი - 582,5 ათასი ლარით მეტი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 12500,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 10166,0 ათასი ლარი. აქედან: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯია 6994,6 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2021 წლის გეგმიური 1025,2 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბერში ათვისებულია 988,4 ათასი ლარი. ფულადი სახსრების ნაშთმა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4936,0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით,

კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე". წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხის განხილვამდე, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ახლად დანიშნულ უფროსს გ. ჩაბალუხას მიულოცა დანიშვნა და წარმატებები უსურვა, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში.

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობაზე და განსახორციელებელ პროექტებზე, რომელთა უმრავლესობას მოსახლეობა ირჩევს ხმათა უმრავლესობით. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში სოფლები ვერ გაცდნენ გზების მოხრეშვას, რომელიც არ არის მომგებიანი, რადგანაც ძლიერი წვიმიანობის შემდგომ ისევ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება გზა და ზოგადად გზები ისევ გაუვალია. მოსახლეობა ახალ ხიბულაში ითხოვდა საყანე ფართობის შემოღობვას, მაგრამ როგორც მისთვის ცნობილია უარი ეთქვათ. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების დაბალ ანაზღაურებაზე და მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს შესაძლებლობის ფარგლებში გაეზარდათ მათი სახელფასო სარგოები.

მ. იოსავა - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელს და განაცხადა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობა იყო ნულის ტოლი, გამომდინარე იქიდან, რომ დაფინანსება იყო დაბალი და მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი პროექტების დაფინანსებას ვერ აკმაყოფილებდა და მოთხოვნილი პროექტებიც ვერ ხორციელდებოდა არასაკმარისი თანხის გამო. მისი აზრით, მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა გაზრდილიყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება, ნორმალური პროექტების განსახორციელებლად.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შეიძლებოდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დასახვეწი იყო, მაგრამ ვერ დაეთანხმებოდა იმ შენიშვნას, რომ მოსახლეობამ მოითხოვა, რაღაც პროექტის დაფინანსება და უარი ეთქვა ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის ორგანიზებით ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაციები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის 11^2 პუნქტის შესაბამისად: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესაბამის წლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში, ამავე დასახლებაში შესაბამის წელს პროექტის შერჩევა, თანხის გამოყოფა და თანადაფინანსება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად, ამ დასახლებისთვის მიმდინარე წელს გამოყოფილი და აუთვისებელი თანხების ჯამის ფარგლებში". ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიციირების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 17 თებერვლის №ბ50.502204817 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება და ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხამისკურისა და სოფელ საქირიოსთვის დამატებით იქნა გათვალისწინებული 15520-15520 ლარი (ჯამში 31040 ლარი), ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტის განუხორციელებლობის გამო, ხოლო ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხეთაში დამატებით იქნა გათვალისწინებული 11640 ლარი, სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტის განუხორციელებლობის გამო, ასევე, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია თანადაფინანსება 20000 ლარის ოდენობით, ორ პროექტზე (მათ შორის: ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საალანიო-საფაჩულიოში მდებარე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოებისთვის - 5000 ლარი, ხოლო საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზენში სასაფლაომდე მისასვლელი ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოებისთვის - 15000 ლარი). დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რისთვისაც მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ლ. ლაშხია, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ც. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში)

მოისმინეს: ც. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის მე-13 მუხლის მე-15 ქვეპუნქტით გათვალისწინებულია 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსება. წარმოდგენილი ცვლილების

პროექტით აღნიშნულ მუხლში ხორციელდება შემდეგი შინაარსის დაზუსტება „0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (ბინის ქირის და კომუნალური ხარჯების: გაზის, დენის და წყლის) თანადაფინანსება“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია, ი. ზაქარაია, ქ. კვირიკაშვილი, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 29 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. ია ჟიშკარიანი
10. მალხაზი იოსავა
11. ბადრი რიჟამაძე
12. მზია ლემონჯარია
13. ქეთევან კვირიკაშვილი
14. ზურაბი შამათავა
15. ჯანსუღი ჯიშკარიანი
16. ფრიდონი კუკავა
17. ლევანი ლაშხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. ნინო ბოკუჩავა
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. ფელიქსი წურწუმია
26. მოგელი ხუხია
27. თათია ქირია